

თერმო პრესის აპარატით ჭიქაზე სუბლიმაციურ ფირის გადატანის ინსტრუქცია

სუბლიმაციური ფირის ჭიქაზე გადასაყვანად პირველრიგში უნდა მოწერიდეს ჭიქა, სწორედ დაფიქსიდეს სუბლიმაციური ქაღალდი და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს დანადგარის მომართვა.

ჭიქაზე სუბლიმაციური ფირის გადასაყვანად საჭიროა:



(სურათი #1)



(სურათი #2)

1) სუბლიმაციური ჭიქა უნდა გაიწმინდოს მტვრის ნაწილაკებისგან.

2) თერმული სკოჩით (იხ. სურათი #1) უნდა მოხდეს ჭიქაზე დამაგრება სუბლიმაციური ფირის, რომელიც დაბეჭდილია სარკისებურად. (იხ. სურათი #3)



(სურათი #3)

3) სკოჩი უნდა დაფიქსირდეს ნაბეჭდის კიდეზე (იხ. სურათი #2) რომ არ მოხდეს ჭიქის აჭრელება, რადგან რა ნაწილზეც სკოჩი იქნება დაკრული შედარებით ღია გამოვა ანაბეჭდი.


4) ფირი უნდა დამაგრდეს შემდეგ საზღვრებში:

1. ჭიქის ძირიდან ჭიქის სიღრმისკენ არანაკლებ 0,8 მმ სიმაღლის დაშორებით.

2. ჭიქის პირიდან ჭიქის სიღრმისკენ არანაკლებ 0,8 მმ სიმაღლის დაშორებით.

3. ჭიქის ყურიდან (ორივე მხარეს) არანაკლებ 1სმ-ის დაშორებით.

(იხ. სურათი #4)



(სურათი #4)



5) თერმო პრესის ჩართვა ხდება გვერდითა დილაკიდან. (იხ. სურათი #5)




(სურათი #5)

6) ტემპერატურა უნდა ავიდეს 200 გრადუსზე.


(თერმო პრესის დანადგარი)

7) 200 გრადუსი რომ დაფიქსირდება ეკრანზე, მხოლოდ მას შემდეგ უნდა შევაცუროთ ჭიქა დანადგარში, ისე რომ ჭიქის ჩაღებისას დანადგარსა და ჭიქას შორის დაბლა დარჩეს სივრცე, რადგან არ მოხდეს დამაგრებული ფურცლის დეფორმაცია (იხ. სურათი #6).




(სურათი #6)

8) ჭიქის ყური კი მაქსიმალურად ზემოთ უნდა დავაფიქსიროთ, ისე რომ ყური არ მიეხრის არცერთ კიდე და დარჩეს შუაში (იხ. სურათი #7, #8)



(სურათი #7)



(სურათი #8)

- 9) ჭიქის დაფიქსირება, პრესის მოჭერა, უნდა მოხდეს შავი ბერკეტის გადაწევით.
- 10) ჭიქის ჩადებიდან და დაფიქსირებიდან ვითვლით 3 წუთს და 3 წუთის შემდეგ ვახდენთ დანადგარიდან ჭიქის ამოღებას ისე, რომ ძირზე არ შევახოთ და რა პრინციპითაც ჩავდეთ იმ პრინციპით გამოვაცუროთ, რადგან არ გამოძრავდეს ქაღალდი და არ გაიდღაბნოს გამოსახულება.
- 11) პრესიდან ჭიქის გამოღების შემდეგ დაახლოებით 1 წუთში შეგვიძლია ავადროთ თერმო სკოჩით დაფიქსირებული სუბლიმაციური ქაღალდი, ისე რომ ქარაღდი არ გავამოძრაოთ.
- 12) ჭიქას უნდა დავაცადოთ გაგრილება, რომ ვნახოთ ფერი.